დაიჯესტი

12 - 18 თებერვალი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების მარშალის სამსახური დირექტორის, რონალდ დევისის განცხადებით, უწყება შეშფოთებულია ქვეყანაში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის მზარდი ტენდენციებით.

სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურის პროგრამა, "ჯილდო სამართლიანობისთვის", დაეშის ხორასანის პროვინციის ლიდერის, სანაულაჰ გჰაფარის, ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გაზიარების სანაცვლოდ დაინტერესებულ პირებს 10 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის ჯილდოს სთავაზობს. გჰაფარი პასუხისმგებელია ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული თავდასხმების ფინანსირებაზე.

გაერთიანებული სამეფო

18 თებერვალს, ჩრდილო-დასავლეთ ინგლისის კონტრტერორისტულმა ძალებმა ლანკშაირში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ულტრამემარჯვენე იდეოლოგიებით ინსპირირებული 41 წლის მამაკაცი, კონრად ჰოვარტი, დააკავეს. საგამოძიებო სამუშაოების დროს დაკავებულის სახლიდან სამართალდამცავმა ორგანოებმა ტერორისტული თავდასხმის სახელმძღვანელო მასალები ამოიღეს.

ისრაელი

16 თებერვალს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა, ნენსი პელოსიმ ისრაელში ვიზიტისას განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იბრძოლებს ისრაელთან ერთად ირანის მიერ მხარდაჭერილი ტერორიზმის წინააღმდეგ.

სირია

15 თებერვალს, დამასკოში, სირიელი ჯარისკაცების ავტობუსზე მიმაგრებული ბომბი აფეთქდა, რის გამოც 1 ჯარისკაცი გარდაიცვალა, ხოლო 11 დაიჭრა. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება მოხდა პიკის საათში, ომაიდის მოედანთან.

ქალაქ სუვეიდას მაცხოვრებლები სირიის მთავრობას ბანდების მხარდაჭერასა და იარაღის მიწოდებაში ადანაშაულებენ, რაც საზოგადოებაში ძალადობის წაქეზებას უწყობს ხელს.

ერაყი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი ანგარიშის თანახმად, ერაყის ხელისუფლებამ 1000-ზე მეტი ბავშვი, მათ შორის 9 წლამდე ასაკის, დააკავა გასულ წელს დაეშთან სავარაუდო კავშირების ბრალდებით.

იემენი

იემენის სამთავრობო წარმომადგენლების 12 თებერვლის განცხადებით, ალ ქაიდას მებძოლებმა გაეროს ხუთი თანამშრომელი გაიტაცეს სამხრეთ იემენში. გავრცელებული ინფორმაციით, თანამშრომლები გაიტაცეს პარასაკევს და წაიყვანეს გაურკვველი მიმართულებით.

17 თებერვალს, კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა, ალბინ კურტიმ დაგმო საუდის არაბეთსა და გაერთიანებულ საამიროებში ჰუსიტების მიერ სამოქალაქო ობიექტზე გაგრძელებული თავდასხმების სერია.

მალი

საფრანგეთის პრეზიდენტის 17 თებერვლის დეკრეტით მალის ტერიტორიას ფრანგული სამხედრო დანაყოფები დატოვებენ. სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსული პირები 2020 წლიდან ნაკლებ ნდობას უცხადებდნენ დასავლურ სამხედრო კონტრტერორისტულ ჩართულობას რეგიონში. არაერთხელ მოხდა საფრანგეთის დადანაშაულება საჰელის რეგიონში ძალადობრივი ექსტრემისტების გაწვრთნაში.

სომალი

14 თებერვალს, სომალის დედაქალაქ მოგადიშოში, სროლა და აფეთქებები მოხდა. გამთენიისას ალ შაბააბის მებძოლები თავს დაესხნენ პოლიციის განყოფილებებს და სამხედრო საგუშაგოებს.

15 თებერვალს, აფრიკული კავშირის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანამ ალ შაბააბი იქნება სომალის უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა, აფრიკული კავშირი გააგრძელებს დაეშის შესაძლო ხელახალი აღორძინების შესახებ დისკუსიას.

პაკისტანი

13 თებერვალს, პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა, იმრან ხანმა, CNN-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ნაწარმოებმა ომმა ფაქტობრივად გამოზარდა ტერორისტები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის პაკისტანშიც. პრემიერ-მინისტრმა მოიყვანა საკუთარი ქვეყნის მაგალითი, სადაც მისი თქმით, 800 000 ადამიანი დაკარგა პაკისტანმა მას შემდეგ რაც ქვეყანა შეურთდა შტატებს ტერორიზმის წინააღმდეგ ომში.

ინდოეთი

18 თებერვალს, ინდოეთის სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა 38 ადამიანს 2008 წელს განხორციელებული აფეთქებების სერიებისთვის, რომელსაც 50 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ავსტრალია

17 თებერვალს, ავსტრალიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, მთავრობას სურს პალესტინის ისლამისტური დაჯგუფება, ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციად სცნოს.